ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების და კულტურის და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების

გაერთიანებული სხდომის

ოქმი № 2

20 ნოემბერი, 2016 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი.

კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

თარაშ შურღაია

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

ასევე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

გაერთიანებული სხდომის კომისიების წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 2 კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა. მან კომისიის წევრებს ბიუჯეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისი განმარტებით, თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 815 210, 1 ლარით. გაიოზ თალაკვაძემ ასევე პროგრამებისა და ქვეპროგრამების მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საკრებულოს წევრების დასმულ შეკითხვებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა ასევე ისაუბრა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის №01-01173142883 წერილი). როგორც მან განმარტა, კომისიის მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებისთვის (პროგრამული კოდი 02.09.01) გათვალისწინებულ თანხებზე (6 738, 0 ათასი ლარი).

კომისიის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი 02.09.01 პროგრამული კოდის ის ნაწილი, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 500 000 ლარი, რაც უნდა მოხმარდეს 7000 ერთეული სამისამართო აბრის დამზადება-მონტაჟის სამუშაოებს.

იმის მიუხედავად, რომ 2017 წელი ჯერ არ დასრულებულა და წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ კომისიას ოფიციალური ციფრები ჯერ არ აქვს, წინასწარი მონაცემებით მინდა აღვნიშნოთ, რომ აბრების მონტაჟის კუთხით დაგეგმილი სამუშაოები სრულყოფილად სრულდება.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს ამ დრომდე არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ქალაქში არსებული აბრების რაოდენობის და იმ მისამართების შესახებ სადაც აბრა არ არის განთავსებული, ვფიქრობთ, რომ დღეს წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული 500 000 ლარი არ იქნება საკმარისი ქალაქში მდგომარეობის გამოსწორებისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ თბილისში ჯამში არსებობს 5200-ზე მეტი ქუჩა, ჩიხი და შესახვევი.

როგორც ცნობილია, საკრებულოს მიერ 2016 წელს ჩატარდა გეოგრაფიული ობიექტების აბრების დიზაინის გამოსავლენი კონკურსი, რომლის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი აბრის დიზაინის მიხედვითაც მიმდინარეობს აბრების დამზადება. ამ კონკურსის ფარგლებში ასევე დადგინდა საინფორმაციო დაფის დიზაინი. ხსენებული დაფები მიზანშეწონილია განთავსდეს ქალაქის მნიშვნელოვან და ცენტრალურ ზონებში.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისია აუცილებლად მიიჩნევს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის კორექტირებას და პროგრამულ კოდში 02.09.01 ერთ-ერთ ღონისძიებად საინფორმაციო დაფებისთვის გარკვეული თანხების გათვალისწინებას (თუნდაც საპილოტედ რამდენიმე ერთეულისთვის საჭირო თანხა), ასევე საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეული თანხების მობილიზება ობიექტების აღმნიშვნელი და მიმანიშნებელი დგარზე დამონტაჟებული აბრების განთავსების სამუშაოებისთვის.

[redacted]

კომისიის თავმჯდომარის წინადადება საინფორმაციო დაფების განთავსებასთან დაკავშირებით დადებითად შეაფასა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი განმარტებით, მერიის საფინანსო საქალაქო [redacted] სამსახური მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან ერთად აუცილებლად იმსჯელებს აღნიშნულთან დაკავშირებით და ეცდება პრობლემის დადებითად გადაჭრის გზები გამონახოს.

გადაწყვიტეს: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის [redacted] ბიუჯეტის პროექტის მერიისთვის უკან დაბრუნებას შესაბამისი მოტივირებული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

კომისიების თავმჯდომარეებმა თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები და წინადადებები დასკვნების სახით წარმოადგინეს, რაზეც ქონების [redacted] მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს, ხოლო თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ.

[redacted]

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

[redacted]

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი

[redacted]

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

20 ნოემბერი, 2017 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი